





აირის მერდოკი

ზღვა, ზღვა

ოლეგი  
გადამისა

აირის მერდოკი  
ზღვა, ზღვა

Iris Murdoch  
THE SEA, THE SEA

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



წიგნი გამოიცა Literature Ireland-ის ფინანსური  
მხარდაჭერით.

© 1978 by Iris Murdoch  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-700-8

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

კუძღვნი როზმერი კრემპს



## ԸՆՆԱ ՈՍՔԻՐՈՒԾ

աելա, ամ սգրոյշոնեბուն նյուրուսակա, ჩիմ նոն ցածրակոմնունու թղզա մասնաւ մնուս սենցեպին կո առ ցոմքոմնուն, լուպլապենուն. մոյշուրա ոնցունուն. բալլունուն մնչունագ ցածրամնունու նապուր. նյուալուն ցամքուրցալուն - ժալունուն ան յատուն նասաենուն կո առ ցուպուն. პորունոնդուն մուրուն աելուն թղզա սայցեռուն մենամնունուն դա եմուրագ դասերունուն մնյուն մնցանց թողլունուն. პորունոնդուն լուրջուն. նապուրտան, մարչանուն դա մարցենուն ապունդեպուն ցայրաֆորուն պայուտել կլունցենուն մուրուն, նյուլուն մոմնցանուն, պոնցունուն ունուն դա սյուպուն - տոյմուն կո դաձունդունուն - թողլուն մոհիանուն. ჩրճունունուն զարտ, ամուտուն մնուս կամպանա սենցենուն թղզանուն լուրմագ զեր ալնցուն. ոյ, սաճաց բալլունուն կլունցենուն ցածրապունուն, նյուլուն թղզապուրուն ուրցագունուն. սյուլրուն մուրտալուն ուն - թղնունդուն համույնքունուն դա մոլունուն ուրցագունուն, տոյմուն ունուն - პորունոնդուն լուրջ նյուալ զերցելունուն ատոնատս այրվեցուն. մնչեց կո ցուզուն տոտեյուն.

ուս-ուս ոյու, ჩիմու մեմսարցենուն յե პորցելուն ածիացուն դաշներյ, ըռմ մոյլունուն դա շեմիարազուն րամ մոխճա. աելաց կո մոյտուն նանաենուն ալնցուն, տոյմուն մաս շեմուն զարցա ხանուն ցավուն դա մցուն, մովացենուն ամ մոյլունուն սացարացուն (մացրամ արցուն դամակմապուունուն) աեսնա. ոյնեն դրուն կունցուն ըռմ ցավա, դաշունցուն դա մոմեցարնուն սալագ մեջելուն մեջուն.

მემუარები ვახსენე. ნუთუ ეს ჩანაწერები საბოლოოდ მემუარებად იქცევა? ვნახოთ. ახლა, როცა ჯერ მხოლოდ ერთი გვერდი დავწერე, ისინი უფრო დღიურს წააგავს, ვიდრე მემუარებს. კარგი, დღიური იყოს! როგორ ვნანობ, რომ დღიურს უწინ არ ვწერდი. რა დოკუმენტი იქნებოდა! მაგრამ ახლა ჩემი ცხოვრების ძირითადი მოვლენები უკვე მოხდა და მოცალეობისა და მოგონებების გარდა აღარაფერი დამრჩა. ეგოისტის აღსარება? რაღაც ამგვარი. რა თქმა უნდა, ჩემი ჩანაფიქრი არასოდეს გამიმხელია მსახიობი ქალებისა და მამაკაცებისთვის. სიცილით დაიხოცებოდნენ.

სწორედ თეატრში რწმუნდები, რა წარმავალია ადამიანის სახელი და დიდება. ოჟ, რა მშვენიერი, რა ბრწყინვალე იყო პანტომიმები, რომლებიც აღარავის ახსოვს! ახლა ხელი უნდა ავიღო თეატრალურ მაგიაზე და განდეგილი გავხდე; ჩემი ცხოვრება ისე უნდა გარდავქმნა, რომ შევძლო, სრულიად გულწრფელად ვალიარო, ჩემი ერთადერთი საქმიანობა სიკეთის ხელოვნების დაუფლებაა-მეთქი. სამართლიანად ფიქრობენ, რომ სიცოცხლის ბოლო წლები მედიტაციის დროა. ხომ არ ვინანებ, ჩემთვის ეს დრო უფრო ადრე რომ არ დადგა?

აუცილებლად უნდა ვწერო, თანაც, სასხვათაშორისოდ არა, როგორც ადრე (შეგნებულად) ვიქცეოდი. ჩემს ჩანაწერებს სამარადისო ღირებულება აქვს და ვიმედოვნებ, საუკუნეებს გაუძლებს. დიახ, უკვე შევქმნი ეს ნივთი – მომცრო წიგნი, *libellus-i*, ჩემი პირმშო, რომელიც თითქოს საკუთარი ნებით აღიჭურვა და სურს, იცოცხლოს, გადარჩეს.

როცა დღიურის წერა დავაპირე, ვიცოდი, რომ მასში ამბებს არ აღვწერდი (რადგან ჩემს ცხოვრებაში აღარაფერი მოხდება); დღიურში უნდა გადმომეცა მხოლოდ სხვადასხვაგვარი აზრი და ყოველ-დღიური დაკვირვებები: ჩემი ფილოსოფია, ჩემი *pensées*<sup>1</sup> ამინდისა და სხვა ბუნებრივი მოვლენების უბრალო აღწერის ფონზე. ახლაც ვფიქრობ, რომ ეს ურიგო აზრი არ იყო. ზღვა. მხოლოდ ზღვის აღნერით ერთი ტომის გავსება შემეძლო. დეტალურად დაგხასიათებ-

<sup>1</sup> ფიქრები (ფრანგ.).

დი აქაურობას, ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას. თუკი გულმოდ-გინებასაც გამოვიჩენდი, საინტერესო რამ გამომივიდოდა, თუმცა კი სელბორნელი უაითი<sup>2</sup> არ გახლავართ. აი, ახლა ჩემი ფანჯრიდან ვხედავ სამი სხვადასხვა ჯიშის თოლიებს, ასევე – მერცხლებს, ჩვა-მებს. ურიცხვი პეპელა თავს დასტრიალებს ყვავილებს, რომლებიც სასწაულებრივად ამოზრდილან ყვითელ კლდეებზე...

ოღონდ „ლამაზად წერა“ არ მინდა – ჩემს თხზულებას მაღალ-ფარდოვანი სტილით არ შევბლალავ. ასე რომ მოვიქცე, უბრალოდ, დამცინებთ.

კურთხეულია ჩრდილოეთის ზღვა, ჭეშმარიტი ზღვა, თავი-სი კამკამა, ალერსიანი ტალღებით. სულაც არ ჰგავს ხმელთაშუა ზღვას – მყრალ თბილ წვნიანს.

ამბობენ, აქ სელაპები იცისო, მაგრამ ისინი ჯერ არ მინახავს.

რა თქმა უნდა, აუცილებელი სულაც არ არის, მკვეთრი ზღვა-რი გავავლოთ „მემუარებს“, „დღიურსა“ და „ფილოსოფიურ უურ-ნალს“ შორის. შემიძლია, მკითხველო, წება-ნება აგინერო ჩემი წარსული ცხოვრებაც და ჩემი „მსოფლმხედველობაც“. რატომაც არა? ამგვარი თხრობა სრულიად ბუნებრივი იქნება ჩემი ფიქრე-ბის გადმოცემისას. აი, ასე, დინჯად, უშფოთველად (ყოველგვარი შფოთვა ხომ უკან მოვიტოვე?) მივაკვლევ შესაბამის „ლიტერა-ტურულ ფორმას“. ამის გამო წინასწარ რატომ უნდა ავიტკივო თავი?! თუ მომესურვა, ჩემს უნესრიგო ჩანაწერებს მოგვიანებით გადავხედავ და გადავწყვეტ, გამომადგება თუ არა მასალად უფრო მწყობრი თხრობისთვის. ვაითუ, ჩემი წარსული ცხოვრება არც ისე საინტერესოდ მომეჩვენოს, როცა მის აღნერას დავიწყებ? იქნებ თხრობა თანდათან აწმყომდე მოვიყვანო და აწმყოს წარსული შე-ვაქსოვო?

<sup>2</sup> გილბერტ უაითი (1720-1793) – ინგლისელი მღვდელი. ცხოვრობდა ქალაქ სელ-ბორნში, სადაც დაწერა წიგნები: „სელბორნის ბუნებრივი ისტორია და სიძველეები“, „ნატურალისტის კალენდარი“ და სხვ. 1885 წ. უაითის პატივსაცემად დაარსდა ფრინველებისა და მცენარეების დაცვის სელბორნის საზოგადოება.

საკუთარი ეგოიზმი მოვინანიო? განა ავტობიოგრაფია საუკეთესო მეთოდია ამ მიზნის მისაღწევად? მაგრამ რაკი ფილოსოფოსი არ ვარ, სამყაროს გააზრების საუკეთესო საშუალება მხოლოდ ჩემს თავს გადამხდარი ისტორიების გააზრებაა. ვგრძნობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, უნდა გავერკვე საკუთარ თავში. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ მე, ვისაც პოპულარულმა პრესამ „ტირანი“, „ურჩხული“ და (თუ არ ვცდები) „ძალაუფლებისგან შეშლილი ურჩხულიც“ კი უწოდა, აქამდე საკუთარ თავზე არ დავფიქრებულვარ. მაგრამ ფაქტი ფაქტია. მართლაც ძალიან ცოტა რამ ვიცი ჩემ შესახებ.

მხოლოდ გვიან ვიგრძენი მოთხოვნილება, დამეწერა თხზულება, რომელიც საკუთრივ ჩემიც ექნებოდა და საზოგადოც. როცა დროდადრო, სასხვათაშორისოდ ვწერდ, მეგონა, ერთადერთი წიგნი, რომელსაც ოდესმე გამოვცემ, კულინარიული წიგნი იქნება-მეთქი.

ალბათ, უკვე თავის წარდგენის დროა, როგორც ჩანს, უპირველესად, საკუთარი თავისითვის. რა უცნაური რამ ყოფილა ავტობიოგრაფია. მკითხველებისთვის (თუკი ჩემი ჩანაწერები არც ისე შორეულ მომავალში დაიბეჭდება) „ორატორი ნაცნობია“, როგორც ამბობენ ხოლმე საზემო სხდომებზე. რამდენ ხანს გრძელდება ამქვეყნიური დიდება? ისეთი, როგორიც ჩემია – არც ისე დიდახანს, მაგრამ მაინც ხანგრძლივად. დიახ, დიახ, ჩარლზ ეროუბი ვარ და ახლა სამოც წელს გადავაპიჯე. არც ცოლი მყავს, არც – შვილები, არც – და-ძმები. სახელი საქვეყნოდ გავითქვი და ერთხანს ხანმოკლე დიდების სხივებიც დამთამაშებდა. დიდი ხნის წინ გადავწყვიტე, სამოცი წლისა რომ გავხდებოდი, თეატრი მიმეტოვებინა („არასოდეს წახვალ, – მითხრა უილფრიდმა, – უბრალოდ, ვერ შეძლებ“. შეცდა). სიმართლე გითხრათ, ძალიან დამდალა თეატრმა. კმარა. ამას ვერასოდეს წარმოიდგენდნენ და ვერც ივარაუდებდნენ ჩემი ახლობლები – სიდინი, პერეგრინი, ფრიცი, უილფრიდი ან კლემენტი, როცა ცოცხლები იყვნენ. რა თქმა უნდა, ბრძნული საქციიელი იქნებოდა, მაშინ გავრიდებოდი თეატრს, როცა დიდების ზენიტში ვიყავი (რამდენი მსახიობი და რეჟისორი აჭიანურებს თეატრთან

დამშვიდობებას. საწყლები!), მაგრამ საქმე მხოლოდ ის არ იყო, რომ თეატრმა დამდალა. შინაგანი პროტესტის გრძნობა გამიჩნდა.

„კარგი, წადი, – მეუბნებოდნენ ნაცნობ-მეგობრები, – მაგრამ ნუ გვინია, დაბრუნებას შეძლებ“. დაბრუნება სულაც არ მინდა, დიდი მადლობა! „თუ მუშაობას შეწყვეტ და განმარტოვდები, თანდათან შეიშლები“ (ეს სიდინი მითხრა). მე კი, პირიქით, სიცოცხლეში პირველად ვგრძნობ თავს სრულიად ჯანსაღ, თავისუფალ და ბედნიერ ადამიანად.

არ გეონოთ, თეატრი უეცრად ავითვალნუნე (ისე, როგორც დედაჩემა, რომელსაც თეატრი მთელი სიცოცხლე სძაგდა). უბრალოდ, მივხვდი, რომ თუ თეატრს არ გავერიდებოდი, სულიერად გამოვითიტებოდი, რაღაც ისეთს დავკარგავდი, რაც აქამდე მოთმინებით რჩებოდა ჩემთან, მაგრამ შეეძლო, მივეტოვებინე, თუკი სათანადო ყურადღებას არ მივაქცევდი; რაღაცას, რაც ჩემი საქმიანობის მოთხოვნებს არ უკავშირდებოდა, სრულიად გამიჯნული იყო მისგან და სწორედ ამიტომ – ძალიან ღირებულიც. მახსოვს, ჯეომსმა რაღაც თქვა იმ ადამიანებზე, რომლებიც სიცოცხლის ბოლო წლებს გამოქვაბულში ატარებენ. ჰოდა, ჩემი გამოქვაბული სწორედ აქაა. აქ მოვედი და მოვიტანე ჩემი საუნჯე, თილისმა, რომელიც ახლა შეიძლება თვალნათლივ ვიზილო. რა მაღალფარდოვნად და მედიდურად უდერს ეს სიტყვები! და მაინც ვალიარებ, რომ თვითონაც არ ვიცი, რას ვგულისხმობ. დროებით შევაჩეროთ ფიქრთა ეს მძიმე ნაკადი.

ყოველივე ამას რამდენიმე დღის განმავლობაში ვწერდი. შესანიშნავი, თავისუფალი, მარტოობით აღსავსე დღეები იყო, რომლებზეც ამდენს ვოცნებოდი და არც კი მჯეროდა, რომ ოდესმეოცნებას სინამდვილედ ვაქცევდი.

ისევ წავედი საბანაოდ, მაგრამ მარჯვე ადგილი ჯერ ვერ ვიპოვე. ამ დილას სახლის მახლობელი კლდიდან ჩავხტი ღრმა წყალში, იქ, სადაც ის თითქმის ციცაბოდ ეშვება ზღვაში, თუმცა ოდნავ შესამჩნევი შვერილები და ნაოჭები ერთგვარ საფეხურებს წარმოქმნის. ამ კლდეს „ჩემს ქარაფს“ ვუწოდებ, თუმცა მიქცევის დროსაც კი მი-

სი სიმაღლე ოც ფუტს არ აღემატება. წყალი, რა თქმა უნდა, ძალიან ცივია, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ტანზე თბილი ვერცხლისფერი კანივით მეკვრის და ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს სხეული ტრიტონივით ქერცლით მაქვს დაფარული. სიცივისგან გამოცოცხლებული სისხლი ახალი ძალით ჩქეფს. დიახ, ეს ჩემი სტიქიაა. რა უცნაურია, რომ ზღვა მხოლოდ თოთხმეტი წლის ასაკში ვიხილე.

უშიშარი, განაფული მოცურავე ვარ და დიდი ტალღები არ მაშინებს. დღეს ზღვა წყნარი იყო, განსხვავებით სხვა ნახევარსფეროს ოკეანებისგან, სადაც დელფინივით ვლალობდი ხოლმე. მხოლოდ, ასე ვთქვათ, ტექნიკური სიძნელე მაბრკოლებდა. მიუხედავად იმისა, რომ ზღვა თითქმის არ დელავდა, ნაპირზე გამოსვლა გამიჭირდა. ქარაფი ძალიან ციცაბო იყო, შვერილები კი – ძალიან ვიწრო. პატარა ტალღები მეთამაშებოდა – მაღლა მაგდებდა და შემდეგ ისევ ზღვის სიღრმეში მეზიდებოდა. ვცდილობდი, ქარაფის ნაპრალებს ჩავბლაუჭებოდი, მაგრამ თითები მისხლტებოდა. რომ დავიღალე, გავცურე და შევეცადე, სხვა, უფრო მარჯვე ადგილები მეპოვა, სადაც ზღვა მოუსვენრად ბორგავდა, მაგრამ იქ ნაპირზე ამოსვლა უფრო გამოიწელდა, რადგან წყალი ღრმა იყო, ხოლო კლდეების დამრეც, მაგრამ სრულიად გლუვ ან წყალმცენარეებით გალიპულ ფერდებზე ასვლა ჭირდა. ბოლოს ძლივძლივობით ავბობდი ჩემს ქარაფზე. ხელ-ფეხის თითებით ვებლაუჭებოდი, მერე კი ერთ-ერთ შვერილზე გვერდულად ჩავიჩინქე. როცა კლდის თხემზე ავძვერი და სულის მოსათქმელად მზეზე გავიშოტე, შევამჩნიე, რომ ხელ-ფეხი დამსისხლიანებოდა.

რაც აქ ჩამოვედი, ყოველთვის სიამოვნებით ვბანაობდი დედიშობილა. საბედნიეროდ, კლდოვანი სანაპირო არ იზიდავს ტურისტებს, თავიანთი „პატარებითურთ“. აქ ქვიშიან პლაუს ვერ ნახავთ. გავიგონე, ვიღაცამ თქვა, საძაგელი სანაპიროაო. ნეტავ დიდხანს იფიქრონ ასე. კლდოვანი სანაპირო, სადაც ჩემი სახლი დგას, მართლაც ულაზათოა. ვება ქვიშისფერ-მოყვითალო ანონილი კლდეები კრისტალებით არის დაწინწკლული. მოქცევის ხაზს ქვემოთ მათზე ეკლიანი, ყავისფერი, პრიალა, მყრალი წყალმცენარეების ფოჩები კიდია, მაგრამ

ზევით თუ აძვრებით, დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ ვიწრო ხეობების ხილვა, საადაც პატარ-პატარა ტბები და მრავალფეროვანი და ლამაზი ქვების გროვებია. კლდეთა ნაპრალებში ფესვები გაუდგამს ვარდის-ფერ დუმფარებსა და ბაც იისფერ ბალბებს, ზღვის ადონისის მსგავს თეთრ ხვიარა მცენარეებს, კომბოსტოსმაგვარ მოლურჯო-მომწვანო ყვავილებსა და პანანინა ფხიჯებს, რომელთა ფოთლებსა და ყვავილებს შეუიარალებელი თვალით ვერ დაინახავ. გამადიდებელი შუშა უნდა მოვძებნო და ისინი კარგად დავათვალიერო.

სანაპიროზე ზღვას კლდეებში აქა-იქ ხვრელები გამოურეც-ხავს, რომლებსაც მღვიმეებს ვერ უწოდებ, მაგრამ თუ ქვემოდან, წყლიდან, ახედავ, უჩვეულო და ცოტათი საშიში სანახაობა წარმო-გიდგება. ერთ ადგილას, ჩემს სახლთან ახლოს, ზღვას კლდისგან რკალისებრი ხიდიც კი გამოუქანდაკებია, რომლის ქვეშ ტალღები გრუსუნით მიექანება ლრმა, ციცაბონაპირებიანი ქვაბულისკენ. უც-ნაურ სიამოვნებას მანიქებს ამ ხიდზე დგომა. ვაკვირდები, როგორ ჯიქურ იქრება ქვაბულში აქაფებული ტალღები, შემდეგ კი უკან იხევს. გეგონება, ამ დახშულ სივრცეში მრისხანე ძალები იბადება.

კიდევ ერთი დღე გავიდა. კვლავ შევენიერი ამინდია. რაც აქ ჩამოვედი, არც ერთი წერილი არ მიმიღია. უცნაურია. საქმიან მი-მოწერას, რომლის ნაკადიც სწრაფად შემცირდა, ჩემი ყოფილი მდივანი მის კაუფმანი განაგებს ლონდონში. ერთადერთი, ვისი წე-რილის მიღებაც გამახარებდა, ალბათ, ლიზია, მაგრამ ის, მგონი, გასტროლებზეა.

კოშკისკენ მივდივარ და ისევ კლდეებს ვათვალიერებ. ახლა ხომ არა მარტო სახლისა და კლდეების, არამედ დანგრეული კოშკის, ე. წ. მარტელოს, მფლობელიც ვარ! სამწუხაროდ, მისგან მხოლოდ ჩონჩხი დარჩა. კარგი იქნებოდა, აღმედგინა, შიგნით ხვეული კიბე ამეგო და ზევით სამუშაო კაბინეტი მომენტო, მაგრამ, გავრცელებული შეხე-დულების საპირისპიროდ, მდიდარი არ ვარ. ზღვისპირა სახლმა მთე-ლი ჩემი დანაზოგი შთანთქა. მართალია, ჩემი ძვირფასი კლემენტის პრაქტიკული აღლოს წყალობით კარგი პენსია მაქვს, მაგრამ ფული

უნდა გამოვიზოგო. გამახარა კოშკის მახლობლად არქეოლოგიურმა აღმოჩენამ, რომელიც მოწმობს, რომ ერთადერთი ადამიანი არა ვყოფილვარ, ვისაც აქ ზღვიდან გამოსვლა გაუჭირდა. კოშკის ქვეშ მიმალულ ზღვის უბესთან კლდეზე რეინის მოაჯირია მიმაგრებული და რამდენიმე საფეხური – გამოკვეთილი, რომელთა დანახვა მხოლოდ ზევიდან შეიძლება. სამწუხაროდ, მოაჯირის ქვედა ნაწილი მოტეხილა, მოლიპულ საფეხურებზე ფეხის მოკიდება კი ძნელია, განსაკუთრებით – მოქცევისას, თუ ზღვა ღელავს. ტალღები წაგაქცევს. საოცარია, როგორი უდრეკი, მდუმარე ძალა აქვს დაუდგრომელ ზღვას! მაგრამ თვით აზრი შესანიშნავია – მოაჯირი უნდა შევაკეთო. და კიდევ – თუ ჩემი ქარაფის კედელში რეინის რამდენიმე ჯოხს ჩავარჭობ, მოქცევის დროს მათ ჩავეჭიდები და წყლიდან ამოსვლა არ გამიჭირდება. სოფელში უნდა გავიკითხო, მუშები თუ არიან.

მოქცევისას კოშკის საფეხურებთან ვიბანავე და მერე შიშველი დიდანას ვიწექი იქვე, ბალახში. ვნეტარებდი. ვწუხვარ, რომ ზოგჯერ კოშკს ტურისტები ესტუმრებიან ხოლმე, მაგრამ არ მინდა, მივაჭედო დაფა წარწერით: „კერძო სამფლობელო“. ეს მდელო ერთადერთი ბალახიანი ადგილია ჩემს სამფლობელოში, თუ არ ჩავთვლით მოლს სახლის უკან. აქა-იქ ნახავთ ზღვის ქარისგან დაწენილი დაბალი ბალახის მრგვალ, კაქტუსებივით მკვრივ „ჭილოფებს“. კოშკის საძირკველთან ვარდისფერი და თეთრი კატაბალახა ამოზრდილა. ნაპირიდან მოშორებით, კლდეებს შორის, ბალახში, მენამული ბეგეონდარას ყვავილები მოჩანს. გამადიდებელი შუშით უკვე დავათვალიერე ისინიც და პაწანინა ფხიჯებიც. ათი წლისას მინდოდა, ბოტანიკური გამოვსულიყავი. მამაჩემს უყვარდა ყვავილები, თუმცა მათ კარგად არ იცნობდა. ბევრ მცენარეს ერთად ვაკვირდებოდით. საინტერესოა, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, თეატრს ასე რომ არ გავეტაცე.

შინისკენ მიმავალი პატარა ტბებს ვათვალიერებდი. რამდენ მშვენიერ და საინტერესო არსებას ნახავთ იქ! საჭირო წიგნები უნდა ვიყიდო და ამ საკითხებში გავერკვე, თუკი მართლაც დავაპირებ (შეძლებისდაგვარად), ამ ადგილების გილბერტ უაითი გავხდე. ლა-

მაზი კენჭები შევაგროვე და ჩემს მეორე მდელოზე წავიღე. გლუვი, ოვალური კენჭები იყო. სიამოვნებით ვატრიალებდი ხელში. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ერთ-ერთი მათგანი – ვარდისფერი, დაწინწკლული, თეთრი ხაზებით დასერილი – წინ მიდევს. მამაჩემს მოეწონებოდა ეს ადგილი. მამაზე ხშირად ვფიქრობ. მენატრება.

უკვე ვისადილე და ახლა ჩემს სახლს აღგიწერთ. სხვათა შორის, ნუგბარ კერძებს გეახელით. ვჭამე ცხელ გახუბულ პურზე წასმული ანჩოუსების პაშტეტი, შემდეგ – მოშუშული ლობიო წვრილად დაჭრილი ნიახურით, პომიდვრით, ლიმონის წვენითა და ზეითუნის ზეთით (ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზეითუნის ზეთი საუკეთესო, გემრიელი იყოს. ლონდონიდან ის ბლომად ჩამოვიტანე). კარგი იქნებოდა, მწვანე წინაკა დამემატებინა, მაგრამ სოფლის მაღაზიაში (მაღაზიამდე ორიოდ მილია. იქმდე გასეირნება სასიამოვნოა) წინაკა არ ჰქონდათ. შემდეგ ბანანითა და შაქარმოყრილი ნალებით პირიც ჩავიკოკლოზინე (ბანანები კი არ უნდა დაიჭყლიტოს, არამედ უნდა დაიჭრას, ნალები კი თხელი უნდა იყოს). ამას მოჰყვა კრეკერები ახალზელანდიური კარაჟითა და ორკვშირული ყველით. უცხოურ ყველს არ ვეკარები, ჩვენებური ყველი საუკეთესოა მსოფლიოში. ამ სანადიმო კერძებს თითქმის მთელი ბოთლი „მუსკადე“ მივაყოლე (ჩემი მცირე „სარდაფიდან“). წესიამებრ, აუჩქარებლად ვჭამდი და ვსვამდი (სწრაფად მოამზადე, მაგრამ ნელა მიირთვი) და ვინმესთან საუბარსა თუ გაზეთების კითხვაში ყურადღება არ გამიფანტავს (მადლობა ღმერთს!). ჭამა ისეთი სასიამოვნო რამაა, რომ ამ დროს, შეძლებისადაგვარად, არაფერზე უნდა იფიქრო. ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, კითხვა და ფიქრიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ჭამის პროცესი. რა ბედნიერებაა, რომ მჭამელი არსებები ვართ. ჭამამ ყოველთვის სიამოვნება უნდა მოგანიჭოს. კურთხეულ იყოს ყოველი ახალი დღე, როცა საჭმელს კარგად ვინელებთ და შიმშილის დიდებული გრძნობა გვეუფლება.

საინტერესოა, დავწერ თუ არა ოდესმე „ჩარლზ ეროუბის ოთხნუთანი რეცეპტების წიგნს“? ოთხი წუთი, რა თქმა უნდა, საჭმლის

მომზადების დროა. დრო, როცა საკვები პროდუქტი იწვება ან იხარშება, აյ არ იგულისხმება. ეგრეთ წოდებული სწრაფად მოსამზადებელი კერძების რამდენიმე კულინარიული წიგნი გადავათვალიერე, მაგრამ დავრომუნდი, რომ ტყუიან. მათი „თხუთმეტი წუთი“ სინამდვილეში ოცდაათი წუთია, თან ისეთ რჩევებს გვთავაზობენ, როგორიცაა, მაგრამ დავრომუნდი, „სათქვეფელათი ოდნავ მოურიეთ“. იმ ჯანმრთელმა, ნორმალურმა ადამიანებმა, რომელისთვისაც, ალბათ, დავწერ ამ წიგნს, შეიძლება, არც კი იცოდნენ, რა არის სათქვეფელა, მაგრამ ისინი ჰედონისტები არიან. ნებისმიერმა ეგონისტმა იცის, რომ ქამა-სმაში, ისევე, როგორც ბევრ სხვა (მაგრამ არა – ყველა) საკითხში, სიამოვნება საუკეთესო რამაა. სიდნი ეშმა ერთხელ შემომთავაზა, საკოლექციო ღვინოების საიდუმლოებებს გაგიზიარებო. მისი წინადადება გადაჭრით უარვყავი. სიდნის ჩვეულებრივი ღვინოები სძაგს და ბედნიერი მხოლოდ მაშინ არის, როცა ძვირად ღირებულ სასმელს სვამს, რომლის ბოთლის ეტიკეტზე ჩამოსხმის თარიღი წერია. მაგრამ რატომ უნდა შევიძულოთ უბრალო, ჩვეულებრივი ღვინოები (აქ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იაფ სასმელს, რომელსაც პანანის გემო აქვს)? ბედნიერი ცხოვრების ერთ-ერთი საიდუმლო ის არის, რომ არასოდეს მოიკლო პატარ-პატარა სიამოვნებები და თუ ზოგჯერ ამას იაფად და სწრაფად შეძლებ – მით უკეთესი. თეატრში საქმიანობა ხშირად ხელს უშლის ნორმალურ კვებას, ამიტომ უნინ ყოველთვის არ შემეძლო აუჩქარებლად მეჭამა, მაგრამ საჭმლის სწრაფად მომზადება ნამდვილად ვისწავლე. რა თქმა უნდა, უგუნურ ადამიანებს ჩემი მეთოდები (განსაკუთრებით – კონსერვების გამოყენება) აღაშფოთებს; ისინი (უფრო ხშირად – ქალები: უანა, დორისი, როზმერი, ლიზი), ვინც მირჩევდა, ჩემი რეცეპტები გამომექვეყნებინა, შემწყნარებლურად, ქილიკით მარწმუნებდნენ, შენი გვარიც საკმარისია, რომ წიგნი დაიტაცონო. ვერ გრძნობდნენ, რომ ამით შეურაცხყოფას მაყენებდნენ. „ჩარლზთან რომ სადილობ, თითქოს პიკნიკზე ხარ“, – შენიშნა ერთხელ რიტა გიბონისმა. პიკნიკები, რა თქმა უნდა, კარგი რამაა, მაგრამ ჩემი სტუმრები ხომ მაგიდას უსხედან, თევზები მუხლებზე არ უწყვიათ და ყოველთვის შეუძლიათ ნამდვილი (და არა – ქალალდის) ხელსახოცები გამოიყენონ.

კვება მნიშვნელოვანი თემაა და ამ საკითხზე საუბრისას მწერლები, სხვათა შორის, არ ტყუიან. არ ვიცი, როგორ გამოვიმუშავე ბრწყინვალე კულინარიული ოსტატობა. ჩემი ღარიბული ბავშვობიდან მოყოლებული, საჭმლის გადაყრა არ მიყვარდა. ბოლომდე ვჭამდი მნირ საჭმელს, რომელსაც ჩვენს ოჯახში ამზადებდნენ. დედაჩემი „უბრალო, მაგრამ გემრიება“ კერძებს აკეთებდა, მაგრამ არ სჩვეოდა შთაგონებული სისადავე, ურომლისოდაც, ჩემი აზრით, კარგ კერძს ვერ მოამზადებ. შთაგონება მაშინ მეწვია (ისევე, როგორც ნეტარ ავგუსტინეს), როცა ჭამაში ზედმეტობა შემჯავრდა. ახალგაზრდა რეჟისორი რომ ვიყავი, საკუთარი სიბრიუყისა და ტრადიციებისადმი ერთგულების გამო ვვარაუდობდი, სტუმრები ცნობილ რესტორნებში უნდა მივიწვიო-მეთქი, მაგრამ თანდათან მივხვდი, რომ საზოგადოებრივ ადგილებში ძვირად ღირებული, ძნელსაცნაური და ხშირად უგემური კერძების უზომო რაოდენობით ჭამა არა მარტო უზნეო, არაესთეტიკური და ჯანმრთელობისთვის მავნე იყო, არამედ არავითარ სიამოვნებასაც არ მანიჭებდა. მოგვიანებით სტუმრებს სახლში ვპატიუებდი მარტივი კერძებით დასატყბობად. რა შეედრება გახუსული პურის ნაჭრებს კარაქით ან, თუ გნებავთ, ქაშაყის პაშტეტით? ან მოხარშულ ხახვს და მასთან ერთად (ცისაც სურს) ხორცის ცივ კონსერვებს? ხოლო კარგად მოხარშული შევრის ფაფა ნალებითა და ყავისფერი შაქრით მართლაც რომ სამეფო კერძია! მაგრამ იყვნენ საბოლოოდ ნამხდარი გემოვნების ადამიანები, რომლებსაც ჩემი შეგნებული ჰედონიზმი ახირებად, გარკვეულ ფანდადაც კი მიაჩნდათ (ერთმა უურნალისტმა ჩემს სადილებს „ქარი ტირიფებში<sup>3</sup> უწოდა). ზოგიერთი ჩემზე განაწყენდა კიდეც.

შეიძლება Haute cuisine<sup>4</sup>-თან დაკავშირებულ მითოლოგიაზე თვალი ამიხილა არა რესტორნებმა, არამედ უფრო წვეულებებმა. დიდ-ხანს და, როგორც ნესი, ამაოდ ვცდილობდი ჩემი მეგობრების დარ-

<sup>3</sup> ინგლისელი მწერლის, კენეტ გრემის საბავშვო რომანი (1908), რომელიც ერთ დროს ძალიან პოპულარული იყო.

<sup>4</sup> დახვენილი კულინარიის ხელოვნება.

წმუნებას, რომ საჭირო არ იყო სტუმრების გამასპინძლება რთულად მოსამზადებელი კერძებით. უაზრობაა საჭმლის მომზადებაზე დროის ფლანგვა, თუმცა არიან უბედური ქალები, რომლებსაც, კერძების მზადების გარდა, სხვა საქმე არა აქვთ. არსებობს, ასევე, ილუზია, რომ ძალიან რთულ კერძებს უფრო „შემოქმედებით“ უნარი სჭირდება. მინდა, სწორად გამიგოთ: ბარბაროსი არ ვარ. ფრანგული სოფლური კერძები, რომლებიც ჯერ კიდევ შეიძლება იპოვოთ ამ კურთხეულ ქვეყანაში, მართლაც კარგია, მაგრამ მათ ხარისხს განსაზღვრავს ტრადიცია და ინსტინქტი, რომლებიც სწრაფად მზადებას გამორიცხავს. ინგლისში პატივმოყვარე დიასახლისი კულინარიას არა მარტო რიტუალად აქცევს და ღირსებად მიიჩნევს, არამედ თავის ეგრეთ წილებულ ხელოვნებაში ინაფება კიდეც იმ ადამიანების გულისთვის, რომლებიც ხშირად სრულიად არ აფასებენ საჭმელს, თუმცა არაფრით აღიარებენ ამას. ჩემი მეგობრები (თეატრიდან) ისე თვრებოდნენ წვეულებების წინ, რომ არავითარი მადა არ ჰქონდათ და ვერც კი ამჩნევდნენ, რით უმასპინძლდებოდნენ მათ. განა ღირს, მთელი დღე მოანდომო საჭმლის კეთებას, თუ სტუმრები თქვენ მიერ მომზადებულ სადილს ასეთ მდგომარეობაში შეექცევიან (და ნახევარს თევზებზე ტოვებენ)? კარგი მჭამელი ცოტას სვამს. მადიან ჭამას ხელს ისიც უშლის, რომ სადილობისას უნდა ისაუბრო. თუ გაგიმართლათ და ორ ქალბატონს შორის მოხვდით, რომლებიც გამალებით ესაუბრებიან სხვა სტუმრებს, მაშინ შეძლებთ, მთელი ყურადღება საჭმელს დაუთმოთ. არა, არ მიყვარს ეს ოფიციალური სადილები, რომლებიც ხშირად პატივმოყვარეობის, პრესტიუსის დაცვის, არასწორად გაეცელი საზოგადოებრივი მოვალეობის გამო ეწყობა და არა – სტუმართმოყვარეობის ნამდვილი ინსტინქტის კარნახით. Haute cuisine ხელს უშლის სტუმართმოყვარეობას, რადგან ისინი, ვისაც არ შეუძლია ან არ უნდა მისი წესების დაცვა, ამ Haute cuisine-ის მომხრეებს სახლში იმის შიშით არ ეპატიუებიან, რომ ბრალად დასდებენ, გაუწაფავი ან ხელმიცარეული მასპინძელიაო. საჭმელი იმ მეგობრებთან ერთად უნდა მიირთვა, რომლებისთვისაც ამგვარი „დახვეწილი“ მოსაზრებები უცხოა, ან – მარტომ. ვერ ვიტან

წეულებებისთვის დამახასიათებელ თვალთმაქცობას, როცა ყველა ერთმანეთს კოცნის ვითომდა ინტიმური ატმოსფეროს შესაქმნელად.

ამ ტირადის შემდეგ მომიხდება, სახლის აღწერა სხვა დროის-თვის გადავდო. ახლა მხოლოდ ის უნდა დავამატო, რომ (როგორც მკითხველი უკვე დარწმუნდა) ვეგეტარიანელი არ ვარ. მართალია, ხორცს მხოლოდ ცოტას ვჭამ და ბიუშტექსების მოყვარულთ შიშით შევყურებ ხოლმე, მაგრამ რამდენიმე კერძს (მაგალითად, ანჩოუსების პაშტეტს, ღვიძლს, ძეხვეულს, თევზს), ასე ვთქვათ, ძირითადი ადგილი უჭირავს ჩემს მენიუში და მათ ვერ დავთმობ; აქ ზნეობრივ კრიტერიუმებზე ჰედონიზმი იმარჯვებს. შესაძლოა, მართლაც უარი უნდა ვთქვა ხორცეულზე, მაგრამ იმდენ ხანს ვყოყმანობდი, რომ ახლა ველარ შევძლებ ამ ნაბიჯის გადადგმას.

ახლა ჩემს სახლს აღვწერ. „შრაფ-ენდი“ ჰქვია. გასაგებია, რომ „ენდი“ დასასრულია. სახლი კონცხის ბოლოს დგას, ერთგვარ ნახევარკუნძულზე, უშუალოდ კლდეებზე. ნეტავ რომელმა დამთხვეულმა ააგო? როგორც ჩანს, აგების თარიღი დაახლოებით 1910 წელია. რატომ „შრაფი“? ეს კითხვა დავუსვი ჩემს ორ (ჯერჯერობით) აქაურ ნაცნობს – მაღაზიის მფლობელ ქალს და სოფლის დუქნის პატრონს. ორივემ მითხრა (თუმცა დაწვრილებით ვერაფერი ამიხსნესა), „შრაფი“ „შავ“ ნიშნავს (Shruff – schwarz? არა მგონია). ჯერჯერობით არაფერი ვიცი სახლის ისტორიაზე. არასოდეს შევხვედრივარ მოხუც ქალბატონს, სახელად მისის ჩორნის, რომლისგანაც ეს სახლი ვიყიდე. ფასი გვარიანად მაღალი იყო და, გარდა ამისა, მისის ჩორნის მთელი ავეჯისა და სხვა ნივთების შექენაც მომიხდა, რომლებსაც არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. თვით სახლს უამრავი ხარვეზი აქვს, რაზეც მაშინვე მივუთითე აგენტს. ის რატომძაც ძალიან ნესტიანია, ქარისგან დაუცველ ადგილას, განმარტოებით დგას. წყალი და კანალიზაცია, საბედნიეროდ, გაყვანილია (ამერიკაში კეთილმოუწყობელ სახლში ვცხოვრობდი), მაგრამ არ არის ელექტრობა და ცენტრალური გათბობა. საჭმელს ბალონის გაზზე ვამზადებ. სახლის კონსტრუქცია უცნაურია – მას მოგვიანებით აღვწერ. აგენტს გაე-

ღიმა, როცა შეამჩნია, როგორ მომენტის (ხარვეზების მიუხედავად) სახლი. „უნიკალური ნაგებობაა, სერ“, – მითხრა მან. დიახაც.

სახლის მდებარეობა შესანიშნავია, თუმცა ჩემი სოფლელი ნაც-ნობები ნიშნის მოგებით მახსენებენ, რომ ზამთარში სიცივე და ქარი შემაწუხებს. რომ იცოდნენ, როგორ მოუთმენლად ველოდები ზამთრის ქარიშხლებს, როცა მძვინვარე ტალღები პირდაპირ ჩემს კარს შემოუტევევე! მას შემდეგ, რაც აქ დავსახლდი (ესე იგი ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში) ამინდი საოცრად მშვიდია, რაც მთრგუნავს კიდეც. გუშინ ზღვა ისეთი უძრავი იყო, რომ წყლის გლუვ ზედაპირზე ლურჯი ბუზების მთელი ფლოტილია დაცოცავდა. ზედა სართულის (სადაც ახლა ვზივარ) ფანჯრებიდან მხოლოდ ზღვა მოჩანს, თუ სა-განგებოდ არ გადაიხედავთ ქვემოთ, კლდეებისკენ. ქვედა ფანჯრები-დან ზღვა არ ჩანს – ფანჯრების წინ, სანაპიროზე, მხოლოდ სპილოს ფორმისა და ზომის კლდეებია აყუდებული. უკანა (სამზარეულოს) კარიდან კლდეებს შორის მოქცეულ პატარა მდელოზე გახვალთ. აქ ბეგქონდარები და კაქტუსივით მკვრივი ბალახი იზრდება. ამ მდე-ლოს ბედს ბუნებას მივანდობ – მებალე არ გახლვართ (აქამდე ერთი მტკაველი მინაც არ მქონია). აქვე ბუნებამ მომინეო ქვის სავარძელი, რომელზეც ბალიშებს ვაწყობ. მის გვერდით, ქვის ვარცლში, ჩემ შეგ-როვებულ ლამაზ კენჭებს ვალაგებ, ასე რომ, შემიძლია, სავარძელში ჩავჯდე და კენჭები ვათვალიერო. თუ ბილიკს დაადგებით, რომელიც სახლთან იწყება, ქვის მაღალი ჯებირის (ერთგვარი ბუნებრივი ასანევი ხიდის) გავლით სამანქანო გზაზე გახვალთ, რომელსაც ამაყად უწო-დებენ „სანაპირო გზატკეცილს“. ამ გზაზე ასფალტია, თუმცა შუაში ბალახი ამონვერილა. აქ მანქანები მასშიც კი იშვიათად დადის. ჩემი ბედნიერი ცხოვრების ერთ-ერთი საიდუმლო ის არის, რომ მანქანის ტარება არ ვისწავლე – ეს შეცდომა არ დამიშვია. ირგვლივ ყოველ-თვის მყავდნენ ადამიანები, ჩვეულებრივ – ქალები, რომლებიც მზად იყვნენ, ჩემთვის სასურველ ადგილას წავეყვანე. როცა ძაღლი გყავს, თვითონ რატომ უნდა იყეფო? ქვემოთ, ჯებირის ორივე მხარეს, ბუნე-ბას კლდის უამრავი ნატეხი უწესრიგოდ მიმოუფანტავს. ზღვა აქამდე ვერ აღწევს. ეს არცთუ მიმზიდველი სანახაობაა. გარდა ამისა, იქ ყრია